

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

დავით დუგლაძე

დროის ბიუჯეტის მართვა უმაღლეს საგანმანათლებლო
სისტემაში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ავტორეფერატი

თბილისი

2019

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანზორ აბრალავა

რეცენზენტები

დაცვა შედგება 2019 წლის ”_____” ივლისს, ___ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების
ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე,
კორპუსი VI, აუდიტორია -----,
მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკასა და საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (www.gtu.ge)

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

/ ლ.ბერიკაშვილი/

Summery

Davit Dugladze's thesis is " Management of the time budget in higher education system"

The problem of proper use of time is important in the life of any person in its success, optimal use of time is not so simple. It is affected by many factors, which envisage a person of any profession. Proper attitude towards time management issues is especially important for the younger generation, their unnecessary use of time affects professional growth and causes significant health problems.

The purpose of the work is to study the main problems and shortcomings of time management of private university students. It is important for young people to be able to plan their own activities properly, to disclose unnecessary time expenses that prevent them from moving forward. Frivolous attitude toward the time is especially high because of the young people who have the feeling that time resources that they have are more than enough. Based on this problem, we have identified different types of tasks: Employed and unemployed student peculiarities in time management, identification of problems of single and married students. Examination of attitudes towards different periods of time (day, week, month of year), study of dependence on self-management methods, Revealing the main predators of the time. Determining student attitudes towards healthy lifestyle, study of attitudes towards social networking.

The work was focused on the main activities main problems of the students of master.

The subject of research of this paper was the time management issues, while the research united four private universities: Georgian American University (GAU); Caucasus International University (CU); Caucasus University (C); Georgian National University (SEU)

The survey was conducted based on a questionnaire containing 34 questions and answers of 111, the total number of respondents was 520. Various statistical procedures and methods were used in the work: Descriptive statistics: Analysis of frequency, descriptive, correlation and consumer tables, graphical analysis, correlation regressive analysis, analysis of differences between groups: Debt Test, Dispersion Analysis Different Multi-instrumental analysis on one dependent variable, multi-phase analysis on several dependent variables, factor analysis, testing of reliability of the model.

Based on the analysis of the time budget, we have identified the peculiarity of the students' time distribution, determine how well the students are developing and distributing the time to achieve the goals that they have formulated.

The work has both theoretical and practical value. Because of the current situation in which young people are, we've got some recommendations for all the university. One of the main recommendations is the idea of creating a "green environment". Its essence lies in the fact that the University should establish green space, where the student will be able to work and rest at the same time. Such environment will reduce the presence of excessive stress in young people, in parallel with the green environment, creating nutrient objects which will be oriented towards low-cost student service, it is important to take into consideration basic calories that are necessary to rebuild the energy.

The questionnaire in the paper is divided into three main blocks, which are studied both in separate and in unity.

The first block includes Involvement of student in the university activities. preparation of study disciplines during working hours, the time spent on preparing lectures and seminars during the day, the number of hours of attending lectures per week, the use of additional textbooks during preparation of the subject, the duration of the lecture on the day, similar activities were placed in the first block and was called the students' learning process.

Second Block-Student scheduling working hours and demographic variables, which mainly include issues such as: planning day, week, month and year, time spent for leisure during the day, planning weekends, Frequency of delay or execution of activities. In the list of demographic variables merged: gender, marital status, working time rate according to professions and reimbursement.

The third block - the time allocated on the issues of student life, such as the issues of personal hygiene and the time spent on their regulation, on transport, sport, the time spent on physical exercise, the sleeping hours, wasting time on social networks.

We developed hypotheses for each block and used different statistical methods to test them.

It is important for the implementation of the recommendations based on the research, involving people of different professions, in particular psychologists and medicine workers, through joint efforts, to get a healthy young human resource.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

ნებისმიერი ადამიანის წარმატება დამოკიდებულია მის მიერ გონივრულად გამოყენებულ დროის რესურზე. დროის სწორად გამოყენების პრობლემა ერთნაირად აწუხებს ნებისმიერი პროფესიის ადამიანს განურჩევნადაც მისი სტატუსისა. დროის მოცემული პერიოდის სწორად გამოყენება გავლენას ახდენს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობაზე.

სწორად ვმართოთ და გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული დროის რესურსი არ არის მარტივი და ამ პრობლემების გამკლავება მრავალ ფაქტორზე არის დამოკიდებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროის მენეჯმენტის საკითხების ცოდნა ახალგაზრდებისათვის. თანამედროვე სამყარო სავსეა ინფორმაციის მიღებისა და შესაძლებლობების გამოყენების ვარიანტებით. დროის არამიზნობრივი ხარჯვა აისახება არა მხოლოდ პროფესიონალური კადრების ჩამოყალიბების პროცესზე, არამედ უმძიმეს გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს სტუდენტების (ახალგაზრდა შრომითი რესურსის) დროის გამოყენების საკითხებთან არსებული ნაკლოვანებები, კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა მაგალითზე და დასახოს გზები მათი მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ხელი შეუწყოს ჯანსაღი ადამიანური რესურსების ჩამოყალიბებას.

საკითხი რომელიც ნებისმიერი ადამიანის წარმატების ხელშეწყობის ფაქტორად შეიძლება იქცეს ყოველთვის აქტუალურია. დროის მენეჯმენტის საკითხები სამყაროს არსებობიდან იწვევს ინტერესს. მძიმე პრობლემების მიუხედავად, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის და მათ შორის საერთოველოს მოქალაქეებსაც აქვთ, ხსნა მაინც მხოლოდ იმაშია რომ - ჩვენი შრომით იმ გზით ვიაროთ, რომლისკენაც მოგვიწოდებდა ილიაჭავჭავაძე “ეხლა ვაჟკაცობა იმისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს, კიდევ ვიტყვიტ ქვეყანა, კიდევ იმისია, ვინც

ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრო თხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს¹ დროის ყადრის გარეშე შეუძლებელია არსებული გამოწვევების დაძლევა. გაფლანგული ან არამიზნობრივად დახარჯული დროის უკან დაბრუნება ჯერ ვერავინ მოახერხა, მეცნიერული მიღწევების მიუხედავად არავის აქვს ძალა დააგროვოს ან შეაჩეროს დრო და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს იგი.

ნაშრომის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ ნათლად დავანახოთ ახალგაზრდებს არამიზნობრივი დროის დანახარჯების გავლენა მათ კარიერულ წინსვლაზე, მივცეთ საშუალება სწორად დასახონ მიზნები და მისი მიღწევის გზაზე მოახდინონ მნიშვნელოვანი და ნაკლებნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირება. ახალგაზრდა განიცდის ცხოვრებისეული გამოცდილების ნაკლოვანებას, რაც ოპტიმისტურად განაწყობს მას. ნებისმიერ ახალგაზრდას აქვს განცდა, რომ ჯერ ყველაფერი არის წინ, რომ მიზნის მიღწევა შესაძლებელია. რეალურად კი დრო უარყოფითად მოქმედებს „ამგვარ ოპტიმისტებზე“ სწრაფად და უკანმოუბრუნებლად მიედინება და მოზღვავებული საქმეები სტრესულ მდგომარეობას ქმნის. ვფიქროთ ამგვარი სტრესული სიტუაციები აფერხებს პიროვნების განვითარებას. ამგვარი ოპტიმისტი სტუდენტებისათვის გასათვალისწინებელია ჩესტერფილდის დარიგება შვილისადმი მიწერილ წერილში²

ნაშრომი შესაძლებლობას იძლევა დააკვალიანოს ახალგაზრდა და მოუხსნას პრობლემები, რომელიც მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების შანსს უკარგავს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია კერძო უმაღლეს სასწავლებლებლებში სტუდენტთა დროის მენეჯმენტის მიმართ არსებული საკითხების კვლევა. მნიშვნელოვანია სტუდენტთა ძირითადი საქმიანობის

¹ი. ჭავჭავაძე, ორტომეული, ტ.2; თბ; 1987, გვ.319-320

²გ. ჩესტერფილდი, წერილები ვაჟიშვილს, თბ, 1983, გვ 70

მიმართულებების გამოკვეთა და დასაქმებული სტუდენტების პრობლემების შესწავლა.გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრისა და მიზნის მისაღწევად მოვახდინეთ ამოცანების ფორმულირება და გარკვევა :

- დასაქმებულ და დაუსაქმებელ სტუდენტთა თავისებურებები დროის მენეჯმენტის მიმართულებით;
- დაოჯახებული და დასაოჯახებელი სტუდენტების პრობლემების გამოკვეთა;
- დროის სხვადასხვა პერიოდების (დღე, კვირა, თვე, წელი) დაგეგმის მიმართ დამოკიდებულების გარკვევა;
- პირადი შრომის ორგანიზაციის, თვითმენეჯმენტის მეთოდების გამოყენებისადმი დამოკიდებულება;
- დროის მთავარი მტაცებლების გამოვლენა;
- ცხორების ჯანსაღი წესის მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულებების დადგენა

სოციალური ქსელის მიმართ დამოკიდებულებები

კვლევის საგანი და ობიექტი. მოცემული კვლევის საგანია დროის მენეჯმენტის საკითხები . კვლევის ობიექტს წარმოადგენდა კერძო უნივერსიტეტის სტუდენტობა . კვლევამ მოიცვა თბილისში მოქმედი 4 კერძო უნივერსიტეტი: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი-გაუ (GAU); კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი-(CU); კავკასიის უნივერსიტეტი (C) და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი-სეუ (SEU).

კვლევა ჩატარდა ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე რომელიც მოიცავდა 34 კითხვასა და პასუხის 111 ვარიანტს.კვლევის შედეგად რესპოდენტთა საერთო რაოდენობა იყო 520.

თემის შესწავლის მდგომარეობა. დროის მენეჯმენტის საკითხების კვლევით მრავალი მეცნიერი არის დაკავებული. ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლა . ჯერ კიდევ 2004 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ იქნა შესწავლილი

სტუდენტის დროის ბიუჯეტი, რასაც მიეძღვნა ნაშრომი³მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადამიანური პოტენციალის მართვის ლაბორატორიაში“ ჩატარდა დროის მენეჯმენტის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა , რომელიც მოიცავდა , მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტების ,ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების მაგისტრანტებს. კვლევა შეეხო სხვადასხვა რეგიონში არსებული უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრანტებს. რაზეც გამოიკა მონოგრაფია⁴აღნიშნული კვლევის მნიშვნელობიდან გამომდინარე მივიჩნიეთ გაგვერკვია რა ტიპის თავისებურებებით ხასიათდებოდა კერძო უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტების დროის მართვისადმი დამოკიდებულება. მნიშვნელოვანი იყო დაგვენახა მსგავსი და განსხვავებული პრობლემები და ერთობლივად ჩამოგვეყალიბებინა გადაჭრის გზები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე, კვლევა წარმოადგენს საქართველოს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა დროის მენეჯმენტის პირველ მეცნიერულ ნაშრომს, სადაც მოხდა შედარებითი ანალიზი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების პრობლემების.

დროის ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ, რამდენად გააზრებულად ვითარდებიან სტუდენტები და ანაწილებენ დროს დასახული მიზნებიდან გამომდინარე. სტუდენტთა დროის ბიუჯეტის სიღრმისეული კვლევა აქტუალურია, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ ქვეყნის პოტენციურ შრომით რესურსს. ჯანსაღი შრომითი რესურსის არსებობა კი განსაზღვრავს ორგანიზაციის და ქვეყნის ხანგრძლივ ვადიანი განვითარების პოტენციალს.

ადამიანთა უმრავლესობას აწუხებს დროის უკმარისობის პრობლემა და მიზეზებს ხშირ შემთხვევაში თავად დროის ბუნებაში ხედავენ და არა

³ნ. ხარაძე; ვ.ბადრიძე. „სტუდენტის დროის ბიუჯეტი“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2004წ.

⁴ნ.ხარაძე; ე.გულუა „მაგისტრანტთა დროის მენეჯმენტი“ გამ. „უნივერსალი“ 2018 წ.

საკუთარ თავში. კვლევების შედეგად კი ნათლად იკვეთება მიზეზები, რომლის გამოც ადამიანები დროის რესურსების სიმცირეს განიცდიან. მიზეზები ხშირად საკანონმდებლო სახის პრობლემებსაც მოიცავს, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია უნივერსიტეტების ადმინისტრაციისა და სახელმწიფო თუ კერძო დამსაქმებლის ერთობლივი ძალისხმევით.

მძიმე სოციალური ფონის პირობებში მდგომარეობის შესამსუბუქებლად უნივერსიტეტებს შევთავაზეთ „მწვანე გარემოს“ შექმნის იდეა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ შექმნან გამწვანებული სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება უქმე დღეებში დროის გატარება, ერთსივრცეში განთავსდება ბიბლიოთეკა, სავარჯიშო დარბაზი და მარადმწვანე მცენარეების ბაღი. ასე სტუდენტ, რომელიც ვერ ახერხებს უქმე დღეებში განტვირთვას, უნივერსიტეტის სივრცეში შეძლებს ლექცია-სემინარების მომზადებას, ვარჯიშს, ბუნებასთან სიახლოვეს. ამგვარი გარემო დაეხმარება სტუდენტს განიტვირთოს და აღიდგინოს ენერჯია.

წარშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად მოძიებულმა მასალებმა გამოკვეთა პრობლემები. პრობლემათა იდენტიფიკაციის შესაბამისად, შემუშავდა მათ მოგვარებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. რეკომენდაციები განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებლების ადმინისტრაციისათვის, საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის), ქალაქის თვითმმართველობის და კერძო სექტორისათვის.

ახალგაზრდების პრობლემების მოგვარება, რომელიც დროის მენეჯმენტს ეხება მხოლოდ მათი თვითმენეჯმენტის ხარვეზებით არ არის გამოწვეული, რიგ შემთხვევებში ცალკეული უნივერსიტეტების არაეფექტიანი მენეჯმენტის პრობლემაც არის.

ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესასრულებლად მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა მოახდინონ პრობლემის პროპაგანდა და გამოყენებული იქნას არა მხოლოდ ბეჭდვითი ორგანო, არამედ რადიო და ტელევიზია.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადსერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტი მოიცავს 169 გვერდს. იგი შედგება შესავალის, სამი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან.

სადსერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი

თავი 1. დროის მენეჯმენტის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები

1.1. დროის მართვის პრინციპები

დროის იმგვარად განაწილება, რომ ზუსტად შევძლოთ პრიორიტეტების განსაზღვრა საკმაოდ რთული პროცესია და ამაში მენეჯერებს დიდ დახმარებას უწევს ცნობილი პარეტოს პრინციპი, რომელიც ცნობილია 80/20-ის სახელწოდებით⁵ რომლის მიხედვით, საქმეების მხოლოდ 20%-ს მოაქვს 80%-იანი შედეგი. მთავარი გამოწვევა კი ისაა, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ეს 20%. პრიორიტეტული საქმეების განსაზღვრისთვის დაგვეხმარება უკუკავშირის განსაზღვრა-იმის გათვითცნობიერება, თუ რა საქმეებს მოაქვს ყველაზე ნაკლები შედეგი. აღნიშნული პრინციპის გამოყენება ინდივიდუალურია. რადგან სხვადასხვა ადამიანისათვის მნიშვნელოვანი საქმეები შეიძლება განსხვავებული იყოს. დროის მენეჯმენტის შესწავლისას გვერდს ვერ ავუვლით დროის მართვის სტრატეგიებს, დროის მენეჯმენტის მსგავსად დროის მართვის სტრატეგიების მიმართ მეცნიერებს განსხვავებული ხედვა და დამოკიდებულება გააჩნიათ. ცნობილია ჩაპმენის (Sue W. Chapman) და რუფიურდის (Michael Rutherford) დროის მართვის 10 საფეხურიანი სტრატეგია: დროის ხარჯვის ანალიზი-მნიშვნელოვანია დროის გარკვეულ პერიოდში ადამიანის მიერ დაგეგმილი და შესრულებული ამოცანები შევაფასოთ და გამოვავლინოთ ხარვეზები, რომელიც ხელს გვიშლიდა მიზნის მიღწევაში, საჭიროების შემთხვევაში არ უნდა მოვერიდოთ ცვლილებების განხორციელებას გეგმაში.

⁵Lavinsky D., Pareto Principle: How To use It For Dramatically grow your Business, 2014

უამრავ ადამიანში დროისადმი დამოკიდებულება უარყოფითია და მიიჩნევენ, რომ მათი წარუმატებლობის მიზეზი დროის მცირე რაოდენობაა და არა მისი სწორი მართვა.

ბრაიან ტრეისი-შეეცადა საკუთარი ნაშრომებით და შექმნილი ტრენინგ-პროგრამებით დროისადმი უარყოფითი დამოკიდებულება დადებითად შეეცვალა. საინტერესოა მისი მოსაზრება თუ როგორ მოვახდინოთ საქმეების დალაგება პრიორიტეტულობის მიხედვით,⁶. ტრეისი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ღირებულებებსა და ინტუიციას და მიაჩნია, რომ თითოეულ ადამიანს აქვს მისთვის მკვეთრად ჩამოყალიბებული ღირებულებები და ამ ღირებულებების დადგენას ადამიანი საკუთარი ინტუიციით ახერხებს.

ბრაიან ტრეისის “ABCDE მეთოდი“. ეს მეთოდი მსგავსია იმ კლასიფიკაციისა რომელიც ატარებს ამერიკელი პრეზიდენტის ეიზენჰაუერის სახელს. ბრაიან ტრეისი გვთავაზობს ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში დავალაგოთ საქმე პრიორიტეტულობის მიხედვით.

ყოველთვის, როდესაც ვისახავთ მიზანს, არსებობს გარკვეული შემზღვეველი ფაქტორები, რომელიც მოქმედებს დაგეგმილ დროში აღნიშნული მიზნის მიღწევაზე, ამისთვის კი განვიხილოთ „შემზღვეველი ფაქტორების პრინციპი“⁷ იგი გულისხმობს შემდეგს: მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ ასეთი შემზღვეველი ფაქტორები და უფრო მეტი დრო დავუთმოთ იმ ფაქტორს, რომელიც დროის მცირე „დანახარჯით“ მიგვიყვანს აღნიშნულ სასურველ შედეგამდე.

დასახული მიზნების სწორად განსაზღვრის შემდეგ მნიშვნელოვანია პროდუქტიულობაზე ზრუნვა. ექსპერტივომაკი (Womack)⁸ – ირამდენიმე საფეხურს გვთავაზობს შრომის პროდუქტიულობის ასამაღლებლად. მსგავსი პრინციპები არის განხილული ქვეთავში.

⁶B. Tracy, TIME POWER, 2007, p.95–103

⁷ Tracy, B. "TIME POWER" 2007 p. 95-103

⁸<https://www.cio.com/article/2400335/time-management--6-ways-to-improve-your-productivity.html>

1.2. პირადი შრომის ორგანიზაცია და პროდუქტიულობის ზრდა

ბრაიან ტრეისის „როგორ ვმართოთ საკუთარი დრო“ საშუალებას იძლევა დეტალურად ავხსნათ პირადი შრომის ორგანიზაციის მნიშვნელობა და პროდუქტიულობის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები. საყოველთაოდ ცნობილი მერფის⁹ კანონები პირდაპირ მიგვითითებენ, რომ ვიდრე რამეს გავაკეთებთ უნდა დავამთავროთ რაიმე სხვა. საქმის ეფექტურად გაკეთებამდე აუცილებელია სწორი დაგეგმვა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან მართვის ფუნქციებიდან პირველი სწორედ დაგეგმვის პროცესია. დროის ხარისხიანი მართვისათვის საუცილებელია დაგეგმვით საქმის თანმიმდევრობა, რათა მივიღოთ მაქსიმალური შედეგი. წარმატებული ადამიანები ყოველთვის გეგმავენ თავიანთ ცხოვრებას, ისინიწერენ და ინიშნავენ თავიანთ გეგმებს. რაც უფრო მეტ დროს უთმობ დაგეგმვას, უფრო ნაკლებ შეცდომებს ვუშვებთ ჩვენს ქმედებებში. რაც მეტ ცვლილებებს ვაკეთებთ გეგმებში, უფრო ახლოს მივდივართ მიზნამდე. თუ მიზანს პატარა ნაწილებად დავყოფთ და მას თანმიმდევრულად შევასრულებთ, თავად მიზანი უფრო შესრულებადი აღმოჩნდება. ბრაიან ტრეისი გვთავაზობს რამოდენიმე ხერხს რომელიც ადამიანს სწორედ ამ მიმართულებით ეხმარება ამგვარ საკითხებს ეხება მოცემული ქვეთავი.

თავი 2. სტუდენტთა დროის მენეჯმენტის ზოგადი ანალიზი სიხშირული ცხრილებითა და მონაცემთა გრაფიკული წარმოდგენებით

2.1 კერძო უნივერსიტეტის სტუდენტთა დროის მენეჯმენტი
სრულყოფილი კვლევის ჩასატარებლად, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზისათვის გამოყენებული იქნა SPSS სტატისტიკური პროგრამული პაკეტი.

ქვეთავში დეტალურად არის გაანალიზებული ანკეტაში არსებული ყველა კითხვა,რის საფუძველზეც იქმნებანათელი წარმოდგენა თუ რა

⁹Tracy B. „Как управлять Своим Временем“ AudioConsultCD 2

პრობლემების წინშე არიან კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები, დროის მენეჯმენტის მიმართულებით.

2.2. დროის მენეჯმენტის შედარებითი ანალიზი კერძო უნივერსიტეტების მაგალითზე

მოცემულთავშიგავაანალიზეთკერძოუნივერსიტეტებისრესპოდენტთა შედარებითიანალიზიდადავადგინეთრათავისებურებებითხასიათდებათით ოეულიუნივერსიტეტისრესპოდენტთადროისმენეჯმენტი.

2.3. სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა დროის მენეჯმენტის შედარებითი ანალიზი

ქვეთავი მოიცავს ორი ფუნდამენტალური კვლევის შედარებით ანალიზს. კერძო უნივერსიტეტის სტუდენტთა დროის მენეჯმენტის პრობლემები, შევადარეთ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა დროის მენეჯმენტის პრობლემებს.

3 თავი. სტუდენტთა დროის მენეჯმენტის ანალიზი რთული სტატისტიკური პროცედურების გამოყენებით, ჰიპოთეზების ფორმულირება და მოდელის საიმედოობის შემოწმება

3.1 სტუდენტთა სასწავლო პროცესის ცვლადთა კვლევის შედეგების ანალიზი

მესამე თავის მიზანია რთული სტატისტიკური პროცედურების გამოყენებით მონაცემთა ღრმა ანალიზი - ცვლადთა შორის კავშირის არსებობისა და მისი საიმედოობის დადგენა; მათზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შეფასება; ამა თუ იმ ცვლადის პროგნოზი; ჰიპოთეზების ფორმულირება-შემოწმებასა კვლევის საკითხების შესაბამისად; ფაქტორული ანალიზი; მოდელის საიმედოობის შემოწმება და არსებითი დასკვნების გამოტანა.

ისეთი საკითხები, როგორცაა: სწავლის საფეხური (Q2), ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სწავლის დროის შედარება (Q32), უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობა (Q31), სამუშაო საათების დროს

სასწავლო დისციპლინების მომზადება (Q7), დღის მანძილზე ლექცია-სემინარების მომზადებაზე დახარჯული დრო (Q8), კვირაში ლექციებზე დასწრების საათების რაოდენობა (Q11), სასწავლო დისციპლინების მომზადებისას დამატებითი სახელმძღვანელოებით სარგებლობა (Q9), დღეში ლექციაზე ყოფნის დროის ხანგრძლივობა (Q10), - მოვაქციეთ პირველ ბლოკში ზოგადი სათაურით - სტუდენტთა სასწავლო პროცესი. მოვახდინეთ ჰიპოთეზების ფორმულირება და მათი შემოწმება-გამოვიყენეთ დამტკიცების შესაბამისიმეთოდი.

ჰიპოთეზებია : სწავლის საფეხურსა და სქესს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა, სწავლის საფეხურის გავლენის შეფასება უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში(სამეცნიერო ან კულტურული ღონისძიებები) ჩართულობაზე, სწავლის საფეხურის გავლენის შეფასება სასწავლო დისციპლინების მომზადებისას დამატებითი სახელმძღვანელოებით სარგებლობაზე, სასწავლო პროცესის ცვლადების დამოკიდებულების დადგენა დემოგრაფიულ - ოჯახური მდგომარეობის ცვლადთან, სახელმწიფო ან კერძო სექტორში მუშაობის გავლენის შეფასება სასწავლო პროცესის ცვლადებზე.

მოვახდინეთ სასწავლო პროცესის ცვლადთა შორის კავშირის არსებობის დადგენ ასაშუალოთა შედარების - წყვილური შერჩევის T-Test-ით

3.2 სტუდენტთა სამუშაო დროის დაგეგმვისა და დემოგრაფიულ ცვლადთა კვლევის შედეგების ანალიზი

მოცემულ ქვეთავში განიხილება სტუდენტთა სამუშაო დროს დაგეგმვისა და მუშაობის ცვლადთა კავშირი სხვა ცვლადებთან და სხვადასხვა ფაქტორთა გავლენის ანალიზი, შესაბამისი ჰიპოთეზების შემოწმებით, სამუშაო დროის დაგეგმვის ბლოკის ფაქტორული ანალიზი და ბოლოს, ბლოკის ცალკეული კითხვის მთლიან ბლოკთან დამოკიდებულების კორელაციური ანალიზი.

სამუშაო დღის, სამუშაო კვირის, სამუშაო თვის და სამუშაო წლის დაგეგმვის ცვლადების (Q12, Q13, Q14 და Q15) წყვილური შედარება და გაანალიზება წყვილური შერჩევის Paired T-Test -ის საშუალებით

3.3 სტუდენტთა ყოფით საკითხებზე გამოყოფილი დროის ცვლადთა

კვლევის შედეგების ანალიზი

სტუდენტთა ყოფით საკითხებზე გამოყოფილი დრო, გავაერთიანეთ მესამე ბლოკში, სადაც მოიაზრება ისეთი საკითხები, როგორცაა: პირად ჰიგიენაზე და თავის მოსაწესრიგებლად დახარჯული დროის ცვლადი (Q20), ტრანსპორტზე დახარჯული დროის(Q25), სპორტით დაკავების ცვლადი (Q26), ფიზიკურ ვარჯიშზე დახარჯული დროის ცვლადი (Q 27), დაძინების საათის ცვლადი (Q30) , მილის ხანგრძლივობის ცვლადი (Q29), დროის დანაკარგების მიზეზების ანალიზის ცვლადი Q24), დღის მანძილზე სოციალურ ქსელში ყოფნის დროის ცვლადი (Q11). ჩამოვაცალიბეთ ჰიპოთეზები და მოვახდინეთ T Test-ის გამოყენებით Q1- სქესსა და Q19 (დღის მანძილზე რა დროს ატარებთ სოციალურ ქსელში?), Q20 (რა დროს ხარჯავთ ყოველდღიურად პირად ჰიგიენაზე და თავის მოსაწესრიგებლად) ცვლადებს შორის კავშირის დადგენა. დავადგინეთ ოჯახური მდგომარეობის გავლენის შეფასება Q29 (დაახლოებით რამდენი საათი გძინავთ) და Q30 (როდის ახერხებთ დაძინებას) ცვლადებზე.

3.4 ფაქტორული ანალიზი და მოდელის საიმედოობის შემოწმება

ფაქტორულ ანალიზში განვიხილეთ 30 საწყისი ცვლადი ვარიანტის მეთოდით.

ვარიანტის ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოვყავით სამი განსხვავებული ზოგადი ცვლადი ანუ ზოგადი ფაქტორი.

ფაქტორული ანალიზის ჩატარების დროს, გვანტერესებდა შეგვემოწმებინა მოდელის ვარგისიანობა მთლიანობაში ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.

მოდელის საიმედოობის შემოწმება - კრონბახის ალფა

საწყისი ცვლადების საფუძველზე გამოვითვალეთ კრონბახის ალფა და შევამოწმეთ მოდელის სანდოობა. კრონბახის ალფას კოეფიციენტი მივიღეთ 0,676. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები არის სანდო.

საიმედოობის გათვლისას სხვადასხვა ტესტების (დისპერსიული ანალიზი Tukey's ტესტი - და Hotelling's T-Squared Test პროცედურებმა ასევე გვიჩვენებს მოდელის სანდოობას მაქსიმალურ დონეზე: Tukey's ტესტის მიხედვით დისპერსიული ანალიზის ცხრილში მაგალითად, ცვლადებს შორის F ტესტი = 121,324-ს, ხოლო სტატისტიკური მნიშვნელოვანების დონე არ აღემატება 0.001-ს.

ჰოტელინგის T-Squared Test -ის მიხედვითაც ფიშერის F ტესტი = 120,002-ს, ხოლო სტატისტიკური მნიშვნელოვანების დონე ს ვერაღემატება 0.001-ს.

შემაჯამებელი ცხრილი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. საკვლევი ბლოკი: სასწავლო პროცესის მართვა
ჰიპოთეზები
HP1: ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში ვაჟებისა და გოგონების რაოდენობა არათანაბარია, ანუ სქესი გავლენას ახდენს სწავლის საფეხურზე - დამტკიცდა
HP2: ბაკალავრების და მაგისტრანტების საშუალოები აქტივობებში ჩართულობის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ანუ სწავლის საფეხური გავლენას ახდენს აქტივობებში ჩართვაზე. - დამტკიცდა
HP3: სასწავლო დისციპლინების მომზადებისას ბაკალავრთა და მაგისტრანტთა შორის აღინიშნება განსხვავება დამატებითი სახელმძღვანელოებით სარგებლობის მხრივ- დამტკიცდა
<i>სასწავლო პროცესის ცვლადების დამოკიდებულების დადგენა დემოგრაფიულ - ოჯახური მდგომარეობის ცვლადთან:</i>
HP4_1: ოჯახური მდგომარეობა გავლენას ახდენს სწავლის საფეხურზე, ანუ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში დაოჯახებულებისა და დასაოჯახებელთა საშუალო რაოდენობები განსხვავებულია - დამტკიცდა
HP4_2: ოჯახური მდგომარეობა გავლენას ახდენს სამუშაო საათების დროს სასწავლო დისციპლინების მომზადებაზე - ანულირებულ იქნა
HP4_3: ოჯახური მდგომარეობა გავლენას ახდენს დღის მანძილზე ლექცია-სემინარების მოსამზადებლად დახარჯულ დროზე - დამტკიცდა
HP4_4: ოჯახური მდგომარეობა გავლენას ახდენს დღეში ლექციაზე დასწრების საათების რაოდენობაზე - ანულირებულ იქნა
HP4_5: ოჯახური მდგომარეობა გავლენას ახდენს კვირაში ლექციაზე დასწრების საათების რაოდენობაზე- ანულირებულ იქნა

<p>HP4_6: ოჯახური მდგომარეობა გავლენას ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობაზე, ანუ დაოჯახებულებსა და დასაოჯახებლებს შორის აღინიშნება განსხვავება უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობაზე, - დამტკიცდა</p>
<p><i>უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობაზე დემოგრაფიული ცვლადების (სქესი, მუშაობა კერძო ან სახელმწიფო ქსელში, სახლში სამუშაო საქმეების კეთება/არკეთება, მუშაობა პროფესიის მიხედვით, ანაზღაურება) გავლენა</i></p> <p>HP5_1: სქესი გავლენას ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობაზე - ანულირებულ იქნა, ვაჟები და გოგონებს შორის არ აღინიშნება განსხვავება ამ მხრივ</p> <p>HP5_2: კერძო ან სახელმწიფო ქსელში მუშაობა გავლენას ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობაზე - დამტკიცდა</p> <p>HP5_3: სახლში სამუშაო საქმეების კეთება/არკეთება გავლენას ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობაზე - ანულირებულ იქნა,</p> <p>HP5_4: პროფესიის მიხედვით მუშაობა გავლენას ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობაზე - ანულირებულ იქნა</p> <p>HP5_5: ანაზღაურება გავლენას ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობაზე - დამტკიცდა</p>
<p><i>სასწავლო პროცესის ცვლადთა შორის კავშირის არსებობის დადგენა</i></p> <p>ჰიპოთეზა I წყვილისთვის:</p> <p>HP6_1: სამუშაო საათების დროს სასწავლო დისციპლინების მომზადებისა (Q7) და დღის მანძილზე ლექცია-სემინარების მომზადების დროის (Q8) ცვლადთა შორის არსებობს კავშირი და ეს კავშირი არის სანდო - დამტკიცდა</p> <p>ჰიპოთეზა II წყვილისთვის:</p> <p>HP6_2: სასწავლო დისციპლინების მომზადებისას დამატებითი სახელმძღვანელოებით სარგებლობისა (Q9) და ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სწავლის დროის შედარების (Q32) ცვლადთა შორის არსებობს კავშირი და ეს კავშირი არის სანდო- დამტკიცდა</p> <p>ჰიპოთეზა III წყვილისთვის:</p> <p>HP6_3: კვირაში ლექციაზე დასწრების საათების რაოდენობისა(Q11) და უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობის (Q31) ცვლადთა შორის არსებობს კავშირი და ეს კავშირი არის სანდო - დამტკიცდა</p>
<p>HP7: სახელმწიფო ან კერძო სექტორში მუშაობა გავლენას ახდენს სასწავლო</p>

<p>პროცესის ცვლადებზე: Q7-გიხდებათ სასწავლო დისციპლინების მომზადება სამუშაო საათების დროს?, - დამტკიცდა</p> <p>Q8- დღის მანძილზე რა დროს ანდომებთ ლექცია- სემინარების მომზადებას, - დამტკიცდა</p> <p>Q9- სასწავლო დისციპლინების მომზადებისას სარგებლობთ დამატებითი სახელმძღვანელოებითაც? - ანულირებულ იქნა</p> <p>Q10- დღეში რამდენი საათი ხართ ლექციაზე, - დამტკიცდა</p> <p>Q11 - კვირაში დაახლოებით რამდენ ლექციას ესწრებით (საათს)?- დამტკიცდა</p> <p>Q31 -ხართ ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში (სამეცნიერო ან კულტურულ ღონისძიებები)? Q32- ბაკალავრიატში მეტ დროს ხარჯავდით სწავლაზე მაგისტრატურასთან შედარებით? - ანულირებულ იქნა</p>
<p>HP8: უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობა წრფივ კორელაციურ კავშირშია ანაზღაურების ცვლადთან- დამტკიცდა</p>
<p>2. საკვლევი ბლოკი: სამუშაო დროის დაგეგმვა</p>
<p>HP9: სამუშაო დღის და სამუშაო კვირის დაგეგმვის ცვლადთა შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი და კორელაციური დამოკიდებულება. - დამტკიცდა</p> <p>HP10: სამუშაო თვის და სამუშაო წლის დაგეგმვის ცვლადთა შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი და კორელაციური დამოკიდებულება. - დამტკიცდა</p>
<p>HP11: სქესი (Q1) და სწავლის საფეხური (Q2) ერთობლივად გავლენას ახდენს სამუშაო დღის, სამუშაო კვირის, სამუშაო თვის და სამუშაო წლის დაგეგმვაზე (Q12, Q13, Q14, Q15 ცვლადებზე)- დამტკიცდა</p> <p>HP12: სქესი (Q1) გავლენას ახდენს სამუშაო დღის, სამუშაო კვირის, სამუშაო თვის და სამუშაო წლის დაგეგმვაზე (Q12, Q13, Q14, Q15 ცვლადებზე) - ანულირებულ იქნა</p> <p>HP13: სწავლის საფეხური (Q2) გავლენას ახდენს სამუშაო დღის, სამუშაო კვირის, სამუშაო თვის და სამუშაო წლის დაგეგმვაზე (Q12, Q13, Q14, Q15 ცვლადებზე)- დამტკიცდა</p>
<p>HP14: სქესი გავლენას ახდენს დაგეგმილი საქმეებისთვის გამოყოფილ ყოველდღიურ სამუშაო დროზე- დამტკიცდა</p>

<p>HP15: სწავლის საფეხური გავლენას ახდენს სტუდენტის მუშაობაზე კერძო ან სახელმწიფო სექტორში, დამტკიცდა, ამასთან მათ შორის აღინიშნება საშუალო სიძლიერის უარყოფითი კავშირი.</p>
<p>HP16: ოჯახური მდგომარეობა (Q18) და ანაზღაურება (Q28) ერთობლივად გავლენას ახდენენ სამუშაო დღის დაგეგმვაზე(Q12), - დამტკიცდა შაბათ-კვირას დასვენებაზე (Q17) - დამტკიცდა პროფესიის მიხედვით მუშაობაზე (Q21) - დამტკიცდა და დაგეგმილი ან შესასრულებელი საქმის გადადებაზე (Q22) - დამტკიცდა</p> <p>HP17: ოჯახური მდგომარეობა (Q18) გავლენას ახდენს სამუშაო დღის დაგეგმვაზე(Q12) - დამტკიცდა შაბათ-კვირას დასვენებაზე (ბუნებაში გასცვლა ან სხვა ღონისძიებით დაკავება)(Q17) - ანულირებულ იქნა პროფესიის მიხედვით მუშაობაზე (Q21) - დამტკიცდა დაგეგმილი ან შესასრულებელი საქმის გადადებაზე (Q22) - დამტკიცდა</p> <p>HP18: ანაზღაურება (Q28) გავლენას ახდენს სამუშაო დღის დაგეგმვაზე (Q12), - დამტკიცდა შაბათ-კვირას დასვენებაზე (Q17), ანულირებულ იქნა პროფესიის მიხედვით მუშაობაზე(Q21) - ანულირებულ იქნა და დაგეგმილი ან შესასრულებელი საქმის გადადებაზე (Q22). დამტკიცდა</p>
<p>HP19: ვაჟები და გოგონები განსხვავდებიან ოჯახური მდგომარეობებით, ანუ სქესი გავლენას ახდენს ოჯახურ მდგომარეობაზე- დამტკიცდა</p> <p>HP20: ბაკალავრიატზე და მაგისტრატურაზე აღინიშნება სტუდენტთა ოჯახურ მდგომარეობებს შორის განსხვავება, ანუ სწავლის საფეხური მოქმედებს ოჯახურ მდგომარეობაზე- დამტკიცდა</p>
<p>კავშირის არსებობისა და მისი სანდოობის დადგენა რესპონდენტის ანაზღაურებასა და სხვა ცვლადებს შორის;</p> <p>HP21: ბაკალავრისა და მაგისტრანტის საშუალო ანაზღაურება განსხვავდება ერთმანეთისაგან და ეს განსხვავება არის სანდო, ანუ სწავლის საფეხური გავლენას ახდენს ანაზღაურებაზე - დამტკიცდა</p> <p>HP22: სქესი გავლენას ახდენს ანაზღაურებაზე- დამტკიცდა, მდედრობითი და მამრობითი სქესის რესპონდენტთა საშუალო ანაზღაურებებს შორის არსებობს განსხვავება და ეს განსხვავება არის სანდო.</p>

<p>HP23: კერძო ან სახელმწიფო სექტორში მუშაობა გავლენას ახდენს ანაზღაურებაზე დამტკიცდა,</p> <p>HP24: ანაზღაურებასა და ოჯახურ მდგომარეობას შორის არსებობს კავშირი და ეს კავშირი არის სანდო, დამტკიცდა, დაოჯახებულთა და დასაოჯახებელთა საშუალო ანაზღაურებებს შორის არსებობს განსხვავება</p>
<p>საკვლევი ბლოკი: სტუდენტთა ყოფით საკითხებზე გამოყოფილი დრო</p>
<p>HP25: სქესსა და Q19 (დღის მანძილზე რა დროს ატარებთ სოციალურ ქსელში?), ანულირებულ იქნა, სქესი გავლენას არ ახდენს დღის მანძილზე სოციალურ ქსელში ყოფნის დროის ხანგრძლივობაზე,</p> <p>Q20 (რა დროს ხარჯავთ ყოველდღიურად პირად ჰიგიენაზე და თავის მოსაწესრიგებლად) ცვლადებს შორის არსებობს კავშირი და ეს კავშირი არის სანდო, ანულირებულ იქნა,</p>
<p>HP26: სქესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპორტით დაკავებაზე - ანულირებულ იქნა,</p> <p>ორივე სქესის წარმომადგენლები თანაბრად არიან სპორტით დაკავებულნი</p>
<p>HP27: სწავლის საფეხური მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპორტით დაკავებაზე დამტკიცდა</p>
<p>HP28: სწავლის საფეხური გავლენას ახდენს ყოველდღიურად ფიზიკურ ვარჯიშზე გამოყოფილ დროზე -დამტკიცდა</p>
<p>HP29: ოჯახური მდგომარეობა გავლენას ახდენს ცვლადებზე: Q29 (დაახლოებით რამდენი საათი გძინავთ -დამტკიცდა</p> <p>- Q30 (როდის ახერხებთ დაძინებას?)ანულირებულ იქნა</p>

დასკვნა

- მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში გავრცელებულია შეხედულება, თითქოს კერძო უნივერსიტეტებში მაღალია განათლების სტანდარტი, რაც თავისთავად უნდა გულისხმობდეს კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა თვითმენეჯმენტის მაღალ დონეს, სახელმწიფო უნივერსიტეტებთან შედარებით, კვლევამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გვიჩვენა.

- ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში ვაჟებისა და გოგონების რაოდენობა არათანაბარია, ანუ სქესი გავლენას ახდენს სწავლის საფეხურზე, ასევე აქტივობებში ჩართულობის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან, ანუ სწავლის საფეხური გავლენას ახდენს აქტივობებში ჩართვაზე.
- სასწავლო დისციპლინების მომზადებისას ბაკალავრთა და მაგისტრანტთა შორის აღინიშნება განსხვავება, დამატებითი სახელმძღვანელოებით სარგებლობისათვის ნაკლებად აქვთ დრო მაგისტრანტებს, რაც გამოწვეულია მათი დასაქმების მაღალი მაჩვენებლით.
- კვლევამ დაადგინა, რომ ოჯახური მდგომარეობა გავლენას ახდენს სწავლის საფეხურზე, ანუ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში დაოჯახებულებისა და დასაოჯახებელთა საშუალო რაოდენობები განსხვავებულია. ბუნებრივია ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, ქართველისათვის ოჯახი არის უმნიშვნელოვანესი სწავლების მაღალ საფეხურზე დაოჯახებულთა რაოდენობა საგრძნობლად იზრდება, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს დროის მენეჯმენტის ეფექტიანობას. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახურმა მდგომარეობამ არ მოახდინა გავლენა, სამუშაო საათების დროს სასწავლო დისციპლინების მომზადებაზე. აღნიშნული ფაქტორი ადამიანური რესურსის პასუხისმგებლობის დონეზე მიუთითებს და იგი თანაბრად შეიძლება ჰქონდეს როგორც დაოჯახებულს ასევე დასაოჯახებელსაც.
- ოჯახურმა მდგომარეობამ საგრძნობი გავლენა მოახდინა, დღის მანძილზე ლექცია-სემინარების მოსამზადებლად დახარჯულ დროზე და ეს მაჩვენებელი არ არის გაუარესებული დაოჯახებული სტუდენტების შემთხვევაში. როგორც ჩანს, დაოჯახებული სტუდენტების პასუხისმგებლობის გრძნობა გაორმაგებულია, რაგან მათ პასუხისმგებლობა და ვალდებულებები აქვთ არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ოჯახისა და შვილების წინაშე

- ოჯახურმა მდგომარეობამ ვერ მოახდინა გავლენა, დღეში და კვირის მანძილზე ლექცია-სემინარებზე დასწრების კუთხით.
- რაც შეეხება სტუდენტთა აქტივობებში ჩართულობის ხარისხს, ოჯახური მდგომარეობა განმსაზღვრელი აღმოჩნდა და ბუნებრივია დაოჯახებულებს ნაკლებად აქვთ დრო ამისათვის.
- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სქესი არ ახდენს გავლენას სტუდენტურ აქტივობაში ჩართულობის ხარისხზე. ვაჟებსა და გოგონებს შორის არ შეინიშნება მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც ადასტურებს ჩვენს ქვეყანაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობას.
- კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ჩართულობა უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში არის ურთიერთდამოკიდებული. კერძო სექტორში დასაქმებულები ნაკლებად იცლიან ამგვარი აქტივობებისთვის.
- სტუდენტები, რომლებიც ჩართული არიან უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში არ აღმოჩნდა ხელშემშლელი ფაქტორი, იმისთვის რომ გარკვეული წვლილი შეიტანონ საოჯახო საქმეებში.
- ესა თუ ის პროფესია არანაირად არ ახდენს გავლენას უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობაზე .
- ანაზრაურება არის ის ფაქტორი, რომელმაც გავლენა იქონია სტუდენტების ჩართულობაზე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მაღალი ანაზრაურების მქონე სტუდენტები უფრო ხილდებიან სამუშაოს დაკარგვას და ნაკლებად იცლიან სტუდენტური ცხოვრებისათვის.
- კვლევის ანალიზიდან დადგინდა, რომ სამუშაოსათვის დროს სასწავლო დისციპლინების მომზადების დადღის მანძილზე ლექცია-სემინარების მომზადების დროის ცვლადთა შორის არსებობს კავშირი და ეს კავშირი არის სანდო, ბუნებრივია დასაქმებული სტუდენტების დროის ბიუჯეტი იმდენად არის გადატვირთული, რომ შეუძლებელი ხდება ლექცია სემინარების მომზადება, თუ კი არ გამოიყენებენ სამუშაო საათებს ამისათვის.

- ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კვირაში ლექციაზე დასწრების საათების რაოდენობისა და უნივერსიტეტის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობის ცვლადთა შორის არსებობს კავშირი. ხშირად სტუდენტური აქტივობა ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება ლექცია-სემინარებზე დასწრების კუთხით.
- სახელმწიფო ან კერძო სექტორში მუშაობამ გავლენა მოახდინა სასწავლო პროცესის ცვლადებზე: გიხდებათ სასწავლო დისციპლინების მომზადება სამუშაო საათების დროს?, - აღმოჩნდა, რომ კერძო სექტორი სამუშაო საათების დროს არ იძლევა სხვა აქტივობების საშუალებას, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კერძო სექტორში შრომის ორგანიზაცია არის მაღალ დონეზე საჯარო სექტორისაგან განსხვავებით.
- სახელმწიფო ან კერძო სექტორში მუშაობამ გავლენა მოახდინა ლექცია სემინარების მომზადებაზე დახარჯულ დროზე, ასევე ლექცია სემინარებზე დასწრების სიხშირეზე, როგორც დღის ასევე კვირის მანძილზე. კერძო სექტორი ხშირად არ აძლევს საშუალებას დასაქმებულ სტუდენტს სამუშაო საათების დასრულების შემდეგ დატოვოს სამუშაო ადგილი. რაც ვფიქრობ დისკრიმინაციის ნიშნებს შეიცავს თუ რატომ უნდა არ ხდება დამატებითი საათების ანაზღაურება.
- უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო დღის და სამუშაო კვირის დაგეგმვის ცვლადთა შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი, ანალოგიური კავშირია სამუშაო თვის და სამუშაო წლის დაგეგმვის ცვლადთა შორისაც. კერძოდ, დროის პერიოდის ზრდასთან ერთად მცირდება რესპოდენტთა რაოდენობა, რომლებიც გეგმავენ დროის დიდი პერიოდს.
- აღსანიშნავია იმის აღიარება, რომ სქესმა არ მოახდინა გვალენა დროის სხვადასხვა პერიოდის დაგეგმვაზე. კერძოდ ორივე სქესის შემთხვევაში რესპოდენტები გულგრილნი არიან გრძელვადიანი გეგმების შემუშავების მიმართ.

- სწავლის საფეხური აღმოჩნდა ის ცვლადი, სადაც რესპოდენტების დამოკიდებულება დროის პერიოდის დაგეგმვის მიმართ საგრძობლად განსხვავებულია. სტუდენტები ცდილობენ დროის ხანგრძლივი პერიოდის პრობლემებზე იფიქრონ.
- ოჯახური მდგომარეობა და ანაზღაურება ერთობლივად გავლენას ახდენენ სამუშაო დღის დაგეგმვაზე. დაოჯახებული სტუდენტები მიბმული არიან ოჯახურ პასუხისმგებლობებს და ცდილობენ დაგეგმონ ყოველი დღე.
- რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, შაბათ-კვირას დასვენებაზე (ბუნებაში გასცვლანსხვადონისძიებით დაკავება) არ ახდენს გავლენას ოჯახური მდგომარეობა. მიმიკა კვირის მთელი პერიოდი, იმდენად სტრესულ გარემოში უწევთ ცხოვრება, რომ აუცილებელია მოახდინონ განტვირთვა, თუმცა ამის შესაძლებლობა არ აქვს არც დაოჯახებულ და არც დასაოჯახებელ რესპოდენტს, რადგან მეტწილად დასვენება მატერიალურ შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული.
- სტუდენტთა ყოფით საკითხებზე გამოყოფილი დრო სქესთან ნაკლებად არის კავშირში. კერძოდ, სოციალური ქსელის მიმართ მიჯაჭულობის ხარისხი თანაბრად აღმაშფოთებელია, იმ ფონზე როცა ძილისთვისაც კი არ ჰყოფნით დრო.
- ასევე არ მოახდინა გავლენა სქესმა სპორტით დაკავების ხარისხზე. სამწუხაროდ, ორივე სქესის წარმომადგენლებში სპორტული აქტივობის მაჩვენებელი არის დაბალი, მაშინ როცა დასაქმებული სტუდენტებისათვის, სწორედ სპორტი უნდა იყოს განტვირთვის ერთ-ერთი სასუალება.
- ოჯახურმა მდგომარეობამ ვერ მოახდინა გავლენა ძილის რეჟიმზე. როგორც დაოჯახებული ასევე დასაოჯახებელი რესპოდენტების ძილის რეჟიმი, თანაბრად არის დარღვეული და არ იძლევა ენერჯის აღდგენის საშუალებას .

- მნიშვნელოვანია აგიტაცია -პროპაგანდის დონეზე გავაგებინოთ ახალგაზრდას, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი და ხანგრძლივი პერიოდისათვის სწავლება და განვითარება აუცილებელია წარმატების მისაღწევად.ახალგაზრდამ უნდა შეძლოს გონებრივი დატვირთა ჩაანაცვლოს ფიზიკური აქტივობით. სხვაგვარად ვერ შეძლებს ჯანმრთელობის შენარჩუნებას.დაძაბულობა და სტრესი გადაიზრდება ქრონიკულ მდგომარეობაში, რაც რთული სამართავი ხდება.
- იმისათვის რომ სწავლება ნებისმიერ საფეხურზე არ იქცეს ფორმალობად, მნიშვნელოვანია სწავლის დაბალ საფეხურზე სტუდენტებს შევთავაზოთ თვითმენეჯმენტისა და დროის მენეჯმენტის კურსები, ამგვარად მომზადებულები შეხდებიან დროის რესურსის უკმარისობით გამოწვეულ დაბრკოლებებს.
- თითოეული უნივერსიტეტი, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო, ვალდებულია გაითვალისწინოს სტუდენტთა დასაქმების შედეგად წამოჭრილი პრობლემები. ყველასათვის ნათელია, რომ ბაკალავრების შემთხვევაში, დასაქმება სრულ განაკვეთზე არ იძლევა ლექცია-სემინარებზე დასწრების შესაძლებლობას, ხოლო მაგისტრანტების შემთხვევაში სამუშაო საათების შემდეგ აწყობილი ცხრილი ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. მნიშვნელოვანია დამსაქმებელსა და უივერსიტეტის წარმომადგენლებს შორის მოხდეს იდეების გაცვლა და კონსესუსამდე მისვლა.იმგვარად დაიგეგმოს სწავლის გრაფიკი, რომ გამოირიცხოს ფორმალობები. დამსაქმებლის სახელმწიფოებრივად აზროვნების გარეშე ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. ადენად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზეც მოხდეს პრობლემის დარეგულირება.
- მნიშვნელოვანია დასაქმებული სტუდენტების ხელშეწყობა და სამუშაო საათების შემცირება, როგორც დღის ასევე კვირის.
- სწავლების ხარისხის ამაღლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კადრების მომზადების თვალსაზრისით. მაღალი სტანდარტების გარეშე

ვლებულობთ „ცარიელ“ დიპლომს, რაც ვერ უზრუნველყოფს კონკურენციას შრომის ბაზარზე. კვლევამ აჩვენა, რომ წიგნთან დამოკიდებულება არის საგანგაში. წიგნის კითხვის გარეშე კი მხოლოდ პროფესორის მიერ მიწოდებული ე.წ მასალები არ არის საკმარისი განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია მაღალი სტანდარტების დაწესება, რათა გაქრეს სურვილი მასობრივი სწავლების. ვფიქრობ უმაღლესი განათლება არ არის აუცილებელი მიიღოს ყველამ. ამგვარი დამოკიდებულება აზიანებს თავად ახალგაზრდის მომავალს, რომელსაც არ აქვს სურვილი სწავლის და ასევე ზიანს აყენებს საგანმანათლებლო სისტემასაც.

- ტრანსპორტირებაზე გაწეულმა დროის დანახარჯებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია თვითმმართველობის დონეზე პრობლემის მოწესრიგება და ასევე თავად უნივერსიტეტის ან დამსაქმებლის ინტერესი, ხელი შეუწყონ დასაქმებულ სტუდენტებს ტრანსპორტირებაში. ეს შესაძლოა მოხერხდეს სამსახურიდან მეტრომდე გადაადგილებაში დახმარებით.
- პრობლემების მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებმა მაქსიმალურად უზრუნველყონ სტუდენტები საერთო საცხოვრებლებით. კომპუსების მოწყობა საშუალებასმისცევს სტუდენტს გამონახოს დრო ფიზიკური აქტივობებისათვის.
- მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ხელშეწყობა, რომელთაც ჰყავთ ოჯახი. საქართველოში არის მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია, ამდენად ვალდებულია როგორც დამსაქმებელი, ასევე უმაღლესი სასწავლებელი გამოიჩინონ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და ერთობლივი ძალისხმევით შეიმუშაონ საკანონმდებლო ინიციატივები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ჯანსაღი ადამიანური რესურსის შექმნა და არა ფსიქიკაშერყეული და დაავადებული თაობის, რომლებიც მიუხედავად მაღალი პროფესიონალიზმისა ვერ გაეჭვვიან გადაღლილობისა და სტრესების შედეგად მიყენებულ ზიანს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია

შემდეგ პუბლიკაციებში:

სამეცნიერო სტატიები:

1. Free-Time Management among Master's Degree Students of Georgia

Natalia Kharadze, Ekaterine Gulua, Dugladze Davit
European Journal of Social Sciences Education and Research
Vol 11 No 2 (2017): EJSER September December 2017 Nr 2(p.24-33)
DOI: <http://dx.doi.org/10.26417/ejses.v11i2.p24-33>
<http://journals.euser.org/index.php/ejses/article/view/2741>

2. კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების დროის მენეჯმენტი

TIME MANAGEMENT OF PRIVATE UNIVERSITY STUDENTS

NATALIA KHARADZE DAVIT DUGLADZE,

ინოვაციური ეკონომიკა და მართავა/ INNOVATIVE ECONOMICS AND
MANAGEMENT #2, 2018 (126-128)

ატალია ხარაძე დავით დუგლაძე
NATALIA KHARADZE, DAVIT DUGLADZE

ISSN: 2449-2418

E-ISSN: 2449-2604

http://nier.ge/images/2_2018.pdf

**3. კერძო უნივერსიტეტებში დასაქმებულ სტუდენტთა დროის მენეჯმენტის
სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი ჰიპოთეზები სქესობრივ ჯგუფში**

**STATISTICAL ANALYSIS OF STUDENTS' TIME MANAGEMENT AND PRIVATE HYPOTHESES IN
PRIVATE UNIVERSITIES**

ინოვაციური ეკონომიკა და მართავა/ INNOVATIVE ECONOMICS AND
MANAGEMENT #3, 2018 (124-130)

დეა ფირცხალაიშვილი დავით დუგლაძე
DEA PIRTSKHALAISHVILIDAVIT DUGLADZE,

ISSN: 2449-2418

E-ISSN: 2449-2604

https://www.researchgate.net/profile/Dea_Pirtskhalaishvili/publication/330674736_STATISTICAL_ANALYSIS_OF_STUDENTS%27_TIME_MANAGEMENT_AND_PRIVATE_HYPOTHESES_IN_PRIVATE_UNIVERSITIES/links/5c4ebfe6a6fdccd6b5cecf2d/STATISTICAL-ANALYSIS-OF-STUDENTS-TIME-MANAGEMENT-AND-PRIVATE-HYPOTHESES-IN-PRIVATE-UNIVERSITIES.pdf#page=124

**4. სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტთა დროის მენეჯმენტის
შედარებითი ანალიზი**

**COMPARATIVE ANALYSIS OF STUDENTS TIME MANAGEMENT AT STATE AND PRIVATE
UNIVERSITIES**

ინოვაციური ეკონომიკა და მართავა/ INNOVATIVE ECONOMICS AND
MANAGEMENT #3, 2018 (151-163)

ISSN: 2449-2418

E-ISSN: 2449-2604

https://www.researchgate.net/profile/Dea_Pirtskhalaishvili/publication/330674753_COMPARATIVE_ANALYSIS_OF_STUDENTS_TIME_MANAGEMENT_AT_STATE_AND_PRIVATE_UNIVERSITIES/links/5c4ec15c299bf12be3e8ec35/COMPARATIVE-ANALYSIS-OF-STUDENTS-TIME-MANAGEMENT-AT-STATE-AND-PRIVATE-UNIVERSITIES.pdf#page=151

კონფერენციები:

1. **Free-Time Management among Master's Degree Students of Georgia**

Natalia Kharadze, Ekaterine Gulua, Dugladze Davit

ICSS XIII 2017 13 th International Conference on Social Sciences 06-07 October 2017 Vienna (p. 88-98)

http://icss.euser.org/prcd/13th_ICSS_2017_Proceedings_Book_Vol2_ISBN_9788890916120.pdf (კონფერენციის მასალები)

2. „დროის მენეჯმენტის გამოწვევები ახალგაზრდა მეცნიერებში“

ნატალია ხარაძე დავით დუგლაძე

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ 19-20- მაისი, თბილისაი 2017 (გვ. 220)